№ 124
სამშაბათი, 24 ივნისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 124
სამშაბათი, 24 ივნისი 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**მღვდელი ნიკოლოზ დარჩია** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნაცნობთა და ნათესავთა გარდაცვალებასა თავისის საყვარელ შვილის **ვიქტორ დარჩიასას**. განსვენებულის გვამი დაკრძალულ იქმნება ოთხშაბათს, 25 ივნისს, ქ. ოზურგეთში.

(1—6.—1)

## მთავრობის განკარგულებანი

### მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალური წესდება

(შემდეგი *)

საზოგადოების საქმეთა გამგეობა.

§ 25. საზოგადოების საქმეებს განაგებენ: ა) წევრთა საზოგადო კრება და ბ) გამგეობა.

საზოგადო კრება.

§ 26. საზოგადო კრებას, თუ რომ იგი საჭიროდ სცნობს, უფლება აქვს გამგეობასთან ერთად განსაკუთრებული მეთვალყურე ორგანო (საბჭო ან ზედამხედველი კომიტეტი) ამოირჩიოს, რომლის მოქმედების წესი და რიგიც საზოგადო კრების-მიერ დამტკიცებულს ინსტრუქციაში იქმნება ნაჩვენები.

§ 27. საზოგადო კრება ორ გვარია: ჩვეულებრივი და საგანგებო. ჩვეულებრივს კრებას გამგეობა ყოველ წლივ მოიწვევს, არა უგვიანეს აპრილისა; იგი განიხილავს და დაამტკიცებს ანგარიშსა და წარსულის წლის ბალანსს, მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვასა და მოქმედების გეგმას, აგრეთვე ამოირჩევს გამგეობისა (§ 36) და სარევიზიო კომისიის (§ 53) წევრთ. საზოგადოვე კრება განიხილავს ყოველს საქმეს, რომლის გარდაწყვეტაც გამგეობას არ შეუძლიან და გამგეობის მიერ საზოგადო კრებაზედ წარდგენილს საქმეებს.

შენიშვნა. არც ერთს წევრს საზოგადოებისას უფლება არა აქვს საზოგადოების მიერ მისდა ნავისრებ თანამდებობაზედ უარი სთქვას, თუ მართლა საპატიო რამ მიზეზი არა აქვს.

§ 28. საგანგებო კრება მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც ამას გამგეობა სცნობს საჭიროდ, ან სარევიზო კომისია და საზოგადოების წევრთა (ამდენი და ამდენი *) ნაწილი მოითხოვს. სარევიზიო კომისიისა და საზოგადოების წევრთა ერთი თხოვნა—საგანგებო საზოგადო კრების მოწვევის შესახებ, გამგეობამ უნდა შეასრულოს არა უგვიანეს ორის კვირისა იმ დღიდგან, რა დღესაც გამგეობას ქაღალდი წარედგინება.

§ 29. თანახმად ამ წესდებისა, საზოგადო კრება გარდასწყვეტს ყოველსავე საქმეს, რომელიც-კი საზოგადოებას შეეხება! მაგრამ მისს აუცილებელს მოვალეობას შეადგენს, დაადგინოს, თუ საზოგადოებამ რა საგნები უნდა აწარმოოს, რა ოპერაციები აიღოს და რამოდენი, შეიძინოს თუ არა საზოგადოებისათვის უძრავი ქონება, გაჰყიდოს, ან იჯარით მისცეს და დააგირავოს იგი, აგრეთვე გააფართოვოს თუ არა საზოგადოების წარმოება. საზოგადო კრებისაგანვეა დამოკიდებული გარდაწყვეტა იმისი, თუ რა ვადის განმავლობაში გარდაიხადოს წარმოების გაფართოვებასა და უძრავ ქონების შეძენაზედ დახარჯული ფული. საზოგადო კრებავე გარდასწყვეტს ყოველს საქმეს, რომელსაც გამგეობა, სარევიზიო კომისია, საზოგადოების წევრნი, გუბერნატორი და შინაგან საქმეთა სამინისტრო წარუდგენენ.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია" № 120.

*) მაგალითად $^1/_{10}$. წევრთა აღნიშნული რაოდენობა წესდებაშივეა ნაჩვენები, რასაკვირველია, საზოგადოების წევრთა დაახლოვებითის რიცხვით, მაგრამ, ყოველს შემთხვევაში, საგანგებო საზოგადო კრების მოწვევა სამს წევრზედ ნაკლებმა არ უნდა ითხოვოს.

## ახალი ამბავი

*** როგორც ყველას მოეხსენება ტფილისის გუბერნატორის თავ. გ. დ. შერვაშიძის მეცადინეობით ტფილისის გუბერნიის ზოგიერთ სოფლის საზოგადოებამ პურის შესანახი მაღაზიები დააარსეს. ეხლა, როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, ტფილისის გუბერნიის 314 სოფლის საზოგადოებათაგან, 271 დაუარსებია მაღაზია. 1897 წელს 1 იანვრისთვის ყველა მაღაზიებში 177,390$^3/_4$ ფუთი ძველის თესლის და 29,592 ფუთი ახალის თესლის ხორბალი ყოფილა, გარდა ამისა 1897 წლის 1 იანვრისთვის სამეურნეო თანხა 972,754 მან. და 5 კაპ. შემდგარა. ამ თანხიდგან 13,163 მან. 67 კაპეიკის მი წები შეუძენიათ და სხვა-და-სხვა საზოგადო შენობა აუგიათ.

*** რადგანაც ხშირად რკინის გზის იმ ვაგონებში, რომლებიც ქალებისთვის არის დანიშნული, კაცებიც შედიან ხოლმე, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობამ განკარგულება მოახდინა, რომ ამიერიდგან ხსენებულ ვაგონებში კანდუქტორებმა და კანტროლიორებმა აღარ შეუშვან ხოლმე მამა კაცები. თუ ვინიცობაა ზოგიერთი მგზავრი მაინც შევიდა და გამოსვლა არ მოინდომა, ჟანდარმის შემწეობით იქმნება გამოყვანილი და შესაფერს ოქმს შეუდგენენ.

*** გზათა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი კახეთის რკინის გზის გამოსაკვლევად ინჟენერი რომანოვი უკვე ჩამოვიდა ტფილისში. ამ დღეებში ბ-ნი რომანოვი კახეთში წავა.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში საჯარო ვაჭრობა 24, 26 და 28 ივნისისათვის არის დანიშნული.

*** კვირას, 22 ივნისს, კავკასიის მთავარ მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ ჩრდილოეთ კავკასიაში წაბრძანდა სამკურნალო წყლებზედ.

*** სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებამ მიიღო სახელმწიფო ბანკისაგან 1897 წელს მოჭრილი ნახევარ კაპეიკიანი შავი ფული.

*** ტფილისის გუბერნიის გლეხთა საქმეთა საკრებულოს დროებითი განყოფილება, რომელიც შესდგება საქმის მწარმოებელთაგან: ნ. ზ. აკიმოვისა, თავ. ქავჭავაძისა და მ. მ. ტებენკოვისაგან, მთივნის ა. ჩ. ყიფშიძისა და გუბერნიის მიწის მზომელის ი. ს. პაიჭაძისაგან, ამა წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში წავა

## ფელეტონი

### „არ მომკვდარვარ!.."

ეტიუდი

(დასასრული *)

V

ყველაზედ წინ მაროს მამა გამოერკვა ამ განსაცვიფრებელ ამბიდგან და თავისთან მიმიხმო. იგი მელაპარაკებოდა აღელვებული, ელდა-ნაცემი, მაგრამ მაინც დარბაისლურად და ღირსეულად. მისი სიტყვები მეტად შეურაცხყოფილის გრძნობის ნაყოფი იყო და იგი თხოულობდა სამაგიეროს, შურის ძიებას... მაგრამ ვისგან? რასაკვირველია, ჩემგან არა!.. დარბაისელი თავადი თხოულობდა სასიძოს მიმართ მაგიერის მიგებას, ანგარიშის გასწორებას, ახსნას მისის საქციელისას და შემდეგ შურის ძიებას. ამათ ყველას მე მავალებდა. მის სიტყვებში გამოკრთოდა მამაშვილური კილო და ეს კილო ჩემდა იყო მომართული. მის აკანკალებულს ხმას, ყელში სისხლ-მომდგარს, მისს უკადრისს ღირსეულ ამპარტავნებას მე მზიარობდა, როგორც მისს მახლობელს, თითქმის მისს სახლში გაზრდილს „გაგებულს და სისხლიან ყმაწვილს", რომ მე აღმედგინა მისი სახელი, მისი პატივი და ღირსება, რომელიც ასე ურცხვად, ასე უტიფრად, სულელურ დაც შელახული იყო ვილაც „კუდაბზიკა ბიჭისაგან"... ერთის სიტყვით, მე უნდა გავსულიყავ ბრძოლის ველზედ და ჩემის სისხლით უნდა დამეცვა მათი, ორივე — მამა-შვილის, პატიოსნება და უფრო მაროს შელახული სახელი... ეს რას ჰგავდა! მე რად მხმარობდნენ?!. მოღალატედ ჩემის დარწმუნებისა? მე უნდა გამხდარვიყავ დამფარველი მისი ვითომ-და პატიოსანის სახელისა, რომელიც ხან ჩემს გრძნობას და ხან იმ ყმაწვილისას ეთამაშებოდა? მე უნდა გამოვსულიყავ დამცველად იმის ქალწულის პიროვნებისა და ღირსებისა, რომელსაც არც სიქალწულე და არც ღირსება არა ჰქონდა? არა! ეს მეტის-მეტი იყო! მე ამის ყაბულს ვერ გავხდებოდი! ჩემივე ხელით არ დავფარავდი იმ შეცოდებას, რომლის გამოჩენა-გამოქვეყნებაც მე მინდოდა, რომლის მსხვერპლიც მე და ის ყმაწვილი ვიყავით; მე არ დავიცავდი იმ პატიოსნებას, რომელიც ჩემდავე შესახებლად შელახული იყო! მე არ ვიზამდი ამას და არც ვქენი...

მამა? დარბაისელი თავადი?

ო, აქ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ჩემი უარი და იმას მოჰყვა ჯერ განცვიფრება, შემდეგ სიბრალული, მერე თვალთ ახელა, ყოველივეს მიხვდომა, შემდეგ კრულვა, წყევლა, თავს ლაფ-დასხმა, შერცხვენა, გაბიაბრუება ყელის მოჭრისათვის, ოჯახის შერცხვენისათვის, პატიოსნების შელახვისათვის და გამძვინვარება, გამხეცება ხან-დაზმულის მშობლისა. მეც გავუჩერდი, არავითარი პასუხი, არაგვარი სიტყვის შებრუნება, არ მიმართლებია თავი, არც გამიხსენებია ის, რომ ერთ დროს მაგათაც სურდათ ჩემი და მაროს დაახლოვება. ყველაფერი მოვისმინე, ყოველივე ავიტანე, მოვიჭირვე ამდენი შეურაცხება.

მერგებოდა?..

ეს საღამო, მთელი ეს დღე დაუვიწყარია!

მარო? არ ვიცი მაშინ სად იყო. ან განა ვეძებდი, თუ სად იყო? თვალით არ დამინახავს, მხოლოდ ესლა მახსოვს, რომ აღელვებული შევჯექ ცხენზედ და შინ გამოვეშურე...

VI

ის იყო, გადუვალ წესისამებრ, ნათელი ბატონდებოდა ქვეყნად და დილის საამურ გამოფხიზლებას მეც ვერიე, რადგან ამდენ გრძნობათა შელახვის გამო ძილი სრულიად არ მომკარებია. ის იყო ეს მაცოცხლებელი შუქი ნათელისა ეფინებოდა მიწის ზურგს, ერთის სიტყვით, რიჟრაჟი იყო, რომ ეზოში ცხენების თქარა-თქური მომესმა და შემოსულმა ბიჭმა მაცნობა, რომ ჩემის ნახვის მოწადინენი მელოდნენ. მყის წამოვდექ და მოსულებთან გავედი. მაცნობეს, რომ სასიძოს მოგზავნილნი იყვნენ, რომელიც თხოულობდა ჩემგან პასუხს და პასუხს მორკინეთა წესისამებრ, ე. ი. პატიოსნებისა და სახელის დაცვას სისხლით ბრძოლის ველზედ. მე რა უნდა დამეცვა? ვის? ვისი სახელი და პატიოსნება? მაროსი? მისის მშობლების? აკი არა-მეთქი, გადავწყვიტე! მაშ ჩემი? ჩემს სახელს ედებოდა რამე ჩირქი? არა, ვერც მაგას ვგრძნობდი. მაშ, რაღად, რად უნდა გავიდე საჩხუბრად?... მიზეზი რა მაქვს?—მოვძებნე მიზეზი და ხელი ჩავჭიდე. ღმერთო ჩემო! ეს იყო დუელი! რას მიქვიან დუელი! ეს იყო სიკვდილი, მოსული ჩემთან, და მიხმობდა თავისკენ, რომ ჩავხვეოდი მის გამხმარს მკერდსა! აქ თავი ველარ შევიმაგრე და დიდის ნდომით, მოურევნელის სურვილით შევეგებე ამ წინადადებას!.. ჰოი გამჩენო! საუკუნო განსვენება ჩემ კართ იდგა და მე მას უარს ვეტყოდი! ვიუარებდი, არ მინდა-მეთქი სიკვდილის გულ მკერდი, მირჩევნია კვლავ ცხოვრების ზღვაში ბრძოლა, კვლავ აღშფოთება, კვლავ დუღილი, კვლავ აღელვება?!. არა, ვიტყვი სწორეს, მე გმირი არა ვარ!.. გამოვექეც სოფლის ბრუნვას, მის ჭადრაკულს ჩარხის ტრიალსა, რომ თავ დავიწყებით განმესვენა, აქაც ვერ ვნახე იგი, რასაც მიველტოდი, ეხლა-კი ნამდვილს სავანეს სავიწყებელს მიძებნიდნენ და არ ვიყაბულებდი?! ეგ ხომ მე არ ვიქნებოდი, ვიღაც, რაღაც სხვა იქმნებოდა?.. და მე-კი რაღაც სხვა მუდამ მღუპავდა!.. მაშ, იარე, გასწი პირდაპირ და დაღრენილს სიკვდილს შიგ პირში ჩაუვარდი... აი, ჩემი გადაწყვეტილება, ჩემი უკანასკნელი სიტყვა. უკან აღარ დამიწევია. სხვა მიზეზი კი არა-რა მქონდა, არც ის, თუ დამძრახავენ, ეხლა უფრო, სადუელოდ რომ არ გავიდე და არც ის, რომ მეშინოდა—ვერ ვუსწორებ და დავაცდენ ტყვიასა-თქო. ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ ეგ იყო სანატრი, რომ სიკვდილს შევბრალებოდი და სულ ხელ-გადასმით ყოველივეზედ ამ ქვეყანად გულ-აგდებულს, ამ ჩემს უკანასკნელს წამალს განვესვენე, რომ ამ ჩემს უკანასკნელს მალამოს გაემრთელებინა ჩემი იარა იმითი, რომ სულ მოესპო იგი...

და გავყე მოსულთ.

ჩემის მხრით მოთავდარიგეთ ჩემივე ბიჭი წავიყვანე და ექვსი უტყუარი ტყვია რევოლვერში წესის ასრულებლად...

დილის დიადი სიჩუმე იყო, მაგრამ ამ სიჩუმეში ყოველივე ცოცხლდებოდა, ნელ-ნელა ფხიზლდებოდა და ყოველივე თვალს იფშვნეტდა სასიცოცხლოდ, კვლავ საბრძოლველად, საშფოთებლად. ბუნება და მისი შენაქმნი გადუვალ წესთა ასრულების სამზადისს ადგნენ და არსებობა, ღამით მიმკვდარინებული, ეხლა ამაყად თავს მოღერებას აპირებდა. მხოლოდ ერთი სულიერი იყო და ეს სულიერი ვიყავი მე, რომელიც ვარღვევდი ამ მწყობრს, ამ კანონს ბუნებისას, მაგრამ ვინ იცის, ერთი მხრით შეიძლება ვასრულებდი კიდეც, მივიდოდი იმისთვის, რომ ერთი არსებობა, ე. ი. ჩემი თავი მომესპო და გამექარწყლებინა. თუმცა ჩუმად ვიყავ და არ ვიმჩნევდი თითქო, მაგრამ გული მიჩქაროდა, მთელს ჩემს სხეულს უხაროდა, რომ იგი ჰპოვებდა სრულ განსვენებას და მოღალული, დაშამ

*) იხ. „ივერია", № 121.

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში იმ საჩივრების გასარჩევად, რომელიც მომრიგებელი-შუამავლის გადაწყვეტილებაზეა შეტანილი და რომელიც შეეხება მემამულეთა და გლეხთა შორის სათავო ადგილებს.

⁂ რადგან ტფილისის პოლიცმეისტერი საზაფხულოდ დროებით დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, იმის თანამდებობას დროებით შეასრულებს მეოთხე ნაწილის ბოქაული ა.ი. ლოლაძე, ხოლო თანაშემწისას, რომელიც აგრეთვე ორის თვით სხვაგან მიდის,—მესამე ნაწილის ბოქაული თავ. ზ. სიდამონ ერისთავი.

⁂ 1896 წელს ტფილისის გუბერნიაში სულ 8,291 ქორწინება ყოფილა, მათ შორის ქალაქებში—1,375 და სოფლებში—6,916. დაბადებულან: კანონიერნი სულ—32,577 სული, მათ შორის მამრობითი სქესი ქალაქებში—3,012, სოფლებში—12,273, სულ—17,528, მდედრობითი სქესი ქალაქებში—2,776, სოფლებში—12,273, სულ მდედრობითი სქესი—15,049; უკანონოდ შობილნი მთელს გუბერნიაში—365, მათ შორის მამრობითი სქესი ქალაქებში—81, სოფლებში—101, სულ მამრობითი სქესი—182; მდედრობითი სქესი ქალაქებში—105, სოფლებში—78 და სულ—183. ამავე ხნის განმავლობაში მომკვდარა: სულ ორივე სქესისა მთელს გუბერნიაში—19,828, მათ შორის მამრობითი სქესი ქალაქებში—2,598, სოფლებში—8,170, სულ მამრობითი სქესი—10,768; მდედრობითი სქესისა ქალაქებში—1,983, სოფლებში—7,077 და სულ მდედრობითი სქესი—9,060.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ამ დღეებში შემდეგის თხოვნით მიჰმართა ტფილისის გუბერნიის სხვა-და სხვა ადგილობრივს ადმინისტრაციას: კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს განზრახვა აქვს რაც შეიძლება მალე წარუდგინოს მთავარ-მართებელს თავისი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რამდენად საჭიროა, რომ ადგილობრივი გზები გაკეთდეს, რომელთა ავკარგიანობაზედაც არის დამყარებული მთელის სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება და მცხოვრებთა კეთილდღეობა. ამისათვის გთხოვთ გვაცნობოთ, რომელი გზა უფრო საჭიროა ადგილობრივის სამეურნეო წარმოების წარმატებისათვის, რა მიმართულება უნდა მიიღოს ამ გზამ და რამდენად ხშირად დასახლებულს ადგილებზედ გაივლისო იგი.

⁂ როგორც თიანეთიდგან იწერებიან, იქაურ მემამულეებს განზრახვა თურმე აქვთ ჯეროვანს მთავრობას სთხოვონ, რომ თიანეთიდგან ს. ჟინვალზედ გზა დროზედ გაიყვანონ, რადგანაც ამ ჟამად ხეირიანი სავალი გზა არა აქვთ. მიზეზი ამისი ის არისო, რომ ამ ორის წლის წინად ახალის გზის გაყვანა დაიწყეს, არ დაასრულეს, მუშაობა შეაყენეს, ბევრს ადგილას ძველი გზა გასჭრეს ახალის გასაყვანად და ამ რიგად სრულიად უგზოდ დავრჩითო.

⁂ როგორც გვატყობინებენ, ს. საგარეჯოსა, ნინო-წმინდასა და გიორგი-წმინდას საქონლის ჭირს შესამჩნევად უკლია. იმედია, მალე სრულიადაც მოისპობაო.

⁂ რადგანაც ქუთაისის ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია ქუთაისში ცხენის რკინის გზა გამართოს, ამიტომ გამგეობა აცხადებს: ვისაც ჰსურს ხსენებულის გზის გამართვისა და წარმოების კონცესია აიღოს, მობძანდეს გამგეობაში პირობების შესატყობადაო.

⁂ ბათუმი. ამ დღეებში ჩამოვიდა აქ ტფლისიდგან სამი მშვენივრად გამოწყობილი კაცი და სხვა-და სხვა სასტუმროში ჩამოხდნენ. პოლიციამ მალე შეიტყო იმათი ჩამობრძანების მიზეზი და დააპატიმრა, ორი „რუსეთის" სასტუმროში და ერთიც „ევროპის ნომრებ"ში. გაჩხრეკის დროს პოლიციას საბეჭდი და სხვა საიდუმლო მანქანები აღმოუჩენია, რომელთ დანიშნულება თვით დატუსაღებულთ აუხსნეს. ამ ვაჟბატონებს უნდოდათ მოეტყუილებინათ ვინმე, ვითომდა ყალბი ფულის მჭრელები ვართო, ფულის გამსაღებელი ეშოვნათ, გამოერთმიათ იმისთვის კარგა ბლომად ბეი და შემდეგ გამქრალიყვნენ. მოტყუება-კი მანქანის შემწეობით შეეძლოთ, რომელშიაც ქაღალდის ნაჭერს ჩასდებდნენ თურმე, დაატრიალებდნენ და მეორე მხარეს წინადვე ჩადებული ნამდვილი მანეთიანი გამოდიოდა. ერთს მათგანს ლეონ შიხინიანცს, ნიკოლოოზ ლორთქიფანიძის პასპორტი ჰქონია. დანარჩენნი ორი—ერთი კონსტანტინე ძუცევი და მეორე ტიმოთე ძილიევი ყოფილა („კავკაზი").

რაჭა. 18 ივნისი. რაჭას ბევრი კარგი მაზრის უფროსი გამოუცვლია, მაგრამ არც ერთი იმათგანი ისეთის წრფელის სიყვარულითა და პატივისცემით არ გაუსტუმრებიათ, როგორც პატივცემული ზურაბ ყიფიანი. ბ-ნი ზურაბ ყიფიანი მოვიდა თუ არა რაჭაში, ისეთის მხნეობით შეუდგა თავისის მოვალეობის აღსრულებას, რომ მთელის მაზრის მცხოვრებთა ყურადღება დაიმსახურა. ისე შეუყვარდათ და შეითვისეს ერთმანეთი მაზრის უფროსმა და მცხოვრებთა, რომ საქმითაც დაამტკიცეს გამოთხოვების დროს. მაზრის უმფროსის ბ-ნის ყიფიანის გადაყვანა ძალიან სამწუხაროდ დაურჩათ აქ. სანუგეშოდ ის-ღა დაგვრჩა, რომ თუმცა ამისთანა კეთილი კაცი მოგვშორდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ახალი მაზრის უფროსი თ. დადიშკელიანი დიდად კაცთ-მოყვარე, პატიოსანი და ბეჯითი კაციაო. ღმერთმა ჰქმნას, რაჭას არ მოჰკლებოდეს პატიოსანი მმართველი!

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. ხობი,** (ზუგდიდის მაზრა). ხობელების ბუნებრივად დაქვეითებას და უკან ჩამორჩენას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ აგერ ოთხი წელიწადია, რაც ხობელებს დ. ხობში სამკითხველო-წიგნთსაცავის დაარსების სურვილი აქვთ, მაგრამ ამ ფრიად საჭირო საქმეს ჯერ-ჯერობით შესრულება ვერ ეღირსა, რადგან ხობის ზოგიერთს მცხოვრებს, სახელდობრ, ვაჭრებს, ესურთ დ. ხობში ყოველი საქმე მდაბიო ხალხის ხარჯით გაკეთდეს. მაგალითად, ამ რვა წლის წინ ხობში ორ-კლასიანი ნორმალური სკოლა დააარსეთ, რომლისთვისაც ხობის ვაჭრები და სხვა მახლობელი მცხოვრებლები მრავალს შემწეობას შეგვპირდნენ, მაგრამ, წარმოიდგინეთ, შემწეობას მაგივრად, პირ-იქით, ხელი შეგვიშალეს. სკოლის შენობა ჩვენ ორი ვერსის მოშორებით გვინდოდა აგვეგო, იმათ კი შუაგულ ბაზარში აგვაშენებინეს და იჯარადარმა ტყავი გაგვაძრო, რადგანაც ბაზრის ალაგას ორჯელ მეტად ჭფასობს ყოველდღიური მასალა. ადგილშიაც სამჯერ მეტი ფასი წაგვივიდა.

მაგრამ წარსულს თავი დავანებოთ და მომავალ წიგნთ-საცავის შესახებ ვილაპარაკოთ. ხობელი ინტელიგენცია დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ხალხში კითხვის სურვილი უკვე გაღვიძებულია. ამის დასამტკიცებლად ის გარემოებაც საკმარისია, რომ თუ აქ ვისმე წიგნი ათხოვე, მაშინვე ერთის ხელიდგან მეორეში გადადის, ხშირად წიგნს ათი და მეტი კაცი კითხულობს, ვიდრე დაგიბრუნებდეს. ამ ხალხის სურვილს, ღმერთმა ნუ ჰქნას, ჯეროვანად თანაგრძნობით არ დახვდეროდეს ჩვენი ინტელიგენცია. შეიძლება სთქვან, რა დროს სამკითხველოს დაარსებაა, როცა ხალხი ნივთიერად უკიდურესს მდგომარეობაშია ჩავარდნილი სიმინდის ფასის დაწევისა და სხვა-და-სხვა გარდასახადის მომატებისას გამო, მაგრამ საქმე იქამდის არ არის გაჭირვებული, რომ გონების საზრდოს ყურადღება აღარ მიექცეს, აქაო-და კუჭი ძალიან ვერ გაგვიძღებიაო. აი, სწორედ ასეთს დროს არის ხოლმე კარგი გონების გამოფხიზლება, თორემ მარტოდ მაძღარი კუჭი სწორედ ვერაფერი ნუგეშია. ეჭვი არ არის, საქმე გაკეთდება. აი, მაგალითად, ხობის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლები მზად კართ არა თუ თითო და ორ-ორი მანეთობით, არამედ მეტითაც აღმოუჩინონ ხობის სამკითხველოს შემწეობა. ამასთან სასურველია აგრეთვე რომელისამე გაზეთის საშუალებით სწორედ მეატყობინეთ: 1) ხობის საზოგადოების ამ ოთხის წლის წინ რომ სამკითხველოს შესახებ მოლაპარაკება ჰქონდა და მოთავედ და ფულის შემგროვებლად რომ ზ. გ. ხ—ა ამოირჩიეს, რამდენი შეაგროვა, ან ვის გარდასცა; 2) ბ-ნ სპირიდონ ნარაკიძის შემოწირული 50 მა-

---

ვრალი სული განეყოფა ამიერიდგან ესდენ მისთვის მღელვარე ცხოვრებას... მეგონა თუ იქ, სადაც მივდიოდი, რაღაც ნეტარებას ვპოვებდი, რაღაც განთავისუფლებას და, ვით საპყრობილედგან გამოსული, მივიჩქაროდი დანიშნულ ადგილისაკენ. არავითარი სხვა აზრი თავში არ მომდიოდა გარდა იმ სიხარულისა, რომ მალე განვერთხმები მიწას და ვპოვებ განსვენებას, გარდა იმისა, რომ მოვისპობ არსებობას და დალალატებული წმინდა გრძნობათაგან შევვერთდები იმ საიდუმლოებას, რომელსაც „არ ვიცი" ჰქვიან... ეს „არ ვიცი" ს სამეფო-კი, ეს საიდუმლო ეხლა ჩემთვის იყო ერთად-ერთი ნუგეში... თანამგზავრებიც ჩუმად მომყვებოდნენ და მე ხომ სულ თითქმის დავკარგე ეს უმაღლესი ნიჭი კაცისა... ძნელიც იყო ამ დროს ლაპარაკი... საქმე სულდგმულის, ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეზეა მივარდნილი, შეუვალად, მოუხმარებლად, და იქ მშრალი „დოქტრინები", მქისე სიტყვები არაფერი მოსატანია... არც მალამოდ გამოდგება და არც შაშარად.. აქ ისევ ადგილი უნდა დავუთმოთ თვით ბედს, შემთხვევას, რომლის იღბლადაც საქმეა მივარდნილი. თითქო ესმოდათ ყოველივე ეს ჩემს თანაგამომყოლთ და ამიტომაც მდუმარებდნენ. იქა-აქა-კი ამ დუმილს, რიღასიც მომასწავებელს, ცხენთ ფეხის ხმა არღვევდა, მაგრამ ისიც თითქო სანახაობის მომათავებელი წვრილმანი იყო, ისე ნაღვლიანად და ისეთ გადაწყვეტილად გამოისმოდა ამ საერთო დუმილში.

აი მიუახლოვდით დანიშნულს ალაგს.

ეს იყო ხშირი ჯაგნარი, ხეებით გარ-შემოსხდული. იქ იდგა სასიძო ამაყად მომზირალი გაყინულის სახითა. იგი კვლავ ისე იყო მორთული, როგორც გუშინ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შინაგანი ასხმულობა სულისა სხვა-გვარ გარიგებოდა. გუშინდელი ბედნიერების ღიმილი, ბაგეზედ დამქრალი, დღეს მკაცრ გარდაწყვეტილებათ შესცვლოდა და გუშინდელი სიცოცხლით აღსავსე თვალები დღეს რაღაც გამოღამებულად, სიბნელის ბუდედ გარდაქმნოდა. ამ სიბნელეში-კი გამოკრთოდა რაღაც ნაპერწკალი და ეს ნაპერწკალი იყო შური დაუძინებელი, მოურევნელი. ანუ, უკეთ, მთელი ეს სხეული იყო ქანდაკი მართლ მსაჯულებისა, უმოწყალო, შეუვალი. არ გამკვირვებია მე ეს. შევხედე უბრალოდ, უბოროტოდ და დავდექ ჩემს ალაგას. ყოველივე ამას ველოდი, ეხლა მხოლოდ, სიკვდილის სწორს ხელს-ღა ვუცდიდი. მაგრამ აი, გაისმა მოთავდარიგეთა ხმა: „ერთი, ორი, სამი!.."

თურმე პირველად მე უნდა მესროლა.

ეს იყო უკანასკნელი ჩემი მოვალეობა ამ ქვეყნად. მეც არ დავიყოვნე ვისროლე, მაგრამ მხოლოდ წესისათვის. სამის გასროლისაგან არც ერთი ტყვია არ შეხებია. მე აკი მინდოდა თვით მოვეკალით და ამიტომაც ჩემი სურვილი იყო, რომ დაუკოდავს, საღა ადამიანს მოერტყა ჩემთვის თვით სიკვდილი, რომ ნამდვილად მოეღო ბოლო.

დავინახე, მოწინააღმდეგეს რევოლვერიდან გამოხდა თეთრი კვამლი, გასროლის ხმა აღარ გამიგონია... რაღაც დავიწყებაში ჩავვარდი და მერე აღარაფერი მახსოვს...

### VII

თვალთ ამეხილა.

ლოგინად ვიწექ. მიმოვიხედე, ვიცან, რომ ჩემს ოთახში ვიყავი. ფარდა ჩამოშვებულ სარკმელთაგან გამოკრთოდა ნაზი, ნელი სინათლის შუქი და სიწყნარის ელ-ფერს სდებდა მთელს ოთახს. იყო სიჩუმე მეტად დიდი, როგორც იტყვიან, ბუზის ფრენაც საკმაოდ გაიგონებოდა... თავისათვის ანგარიში ვერ მიმეცა, რად ვიწექი, უთუოდ დილა იყო და ასადგომად წამოვიწიე, მაგრამ ოი! მარცხენა მხრივ, გულს ზევით ტკივილი ვიგრძენ და მყის მივწექი. ეს რა დამმართია? რა არის, რომ ასე მაგრად შეხვეული მაქვს? რადა? ან ეს ვინ არის?—თავს ქალი დამდგომოდა თვალ-ცრემლიანი—მარო? ოო!.. ეხლა ყოველიფერი გამახსენდა... მაშ იმ საძაგელს მართლა უნდოდა მოვეკალი? გულს უპირდაპირა? ფუჰ მის ვაჟკაცობას, ხელი შეჰკრთომია და ტყვია გულს ზევით მოსულა!.. მერე მაროს აქ რა უნდა?.. რა გინდა ჩემგან, ქალო? კიდევ რაღას მთხოვ?..

— ჩემო სიცოცხლევ, ჩემო კარგო! მე არაფერი მინდა, შენის სიცოცხლის გარდა... შენ იყავ კარგად!.. ღმერთს ვმადლობ, რომ ეხლა მოიხედე!.. აწი არა გიშავს-რა!.. დამშვიდდი და კარგად იქმნები!..

— რაო? გულში ჰრილობა მაქვს და დავმშვიდდე?!. შენ გიყურებ და დავმშვიდდე!.. შორს, ეხლავ გამეცალე!.. მე არ მინდა გიყურო!.. ვერ შევძლებ გიყურო!.. შენი ცბიერი სახე ისეც აი, ჰხედავ სად მიზის!.. და გულზედ მივუთითე.—

— მე უბედური!.. დედამ გამაგდო, მამამ არ მიმიკარა, სხვაგან ვისთან წავიდოდი შენ იყავ მუდამ ჩემი საგანი სიცოცხლისა, მუდამ შენ შემოგტრფოდი. ღირსი არ ვიყავ შენი, მაგრამ შენ მაინც ჩემთვის თავი გასწირე, სიკვდილს თამამად მიეგებე! საძაგელმა, კინაღამ მოგკლა!.. კვლავ შენთან მოვედი, შენ გივლიდი, გარჩენდი და ეხლა შენც მაგდებ?...

— სტყუი! შენთვის თავი ვინ გასწირა?!.. მე თვით მინდოდა სიკვდილი! ეხლა ყოველივე გამახსენდა... დიაღ, სიკვდილი თვით მწყუროდა! ო, რად არ მომკლა! შენ... შენ... ყველაფერი ცბიერებით მოგდის!.. მშობლებმა გაგაგდეს? შას რას იზამდნენ? ორ-პირი არსება რად უნდოდათ?.. შემრცხვენელს ხელთ ვინ დაიჭერს!.. მე გიყვარდი? ცრუობ!.. შენ ისიც გიყვარდა!—არა, შენ სიყვარული სრულიად არ შეგიძლია!.. შენ ორივეს გვეთამაშებოდი, ორივესთვის ბადეს აგებდი და რომელიც უფრო მსუქნად მოუხვდებოდით, ის გინდოდა!.. შენ მხოლოდ შენს ვნებათა ღელვას დაეძებდი... სხვისას არას ჩიოდი!.. სხვისი გრძნობა საბუთად მიგაჩნდა, სხვისი გული შენს გამრთობელ ნივთად!.. იმავე ალაგას, სადაც მე, იმასაც ისე ეფიცებოდი, იმავე ხერხით, როგორც იმას, მეც თვალს მიბამდი!.. შენ ორის ხელით ორივ ვარდს ჰკრეფდი და ის არ იცოდი, რომ მათი ერთად დაჭერა არ შეგეძლო, ეკალზედ ხელს გაიჩხვლეტდი!.. შენი ცბიერება ირგვლივ ჰბანდავდა მისს ქსელს ხელოვნურსა, მაგრამ თურმე საბოლოოდ ეგ ქსელი შენთვისვე მზადდებოდა!.. არა, შორს!.. მე შენ ვერ გიყურებ!.. მეზიზღება შენი ყურება!.. გა, გამეცალე... ოო! ეს რა ტკივილია!.. ვატყობდი ხმა მისუსტდებოდა და დავიწყებას ვეძლეოდი. მაროს გაცლის მაგიერ თვით მე ვეცლებოდი მას, მხოლოდ მისი სახე ეხლა სრულიად შეიცვალა... ეს რა სახეა? ნაზი, ნარნარი, ჰაეროვანი? წმინდა, უმანკო, სიკეთით აღსავსეა მისი თვალები!.. ხელს მკიდებს, მივყევარ... ვგრძნობ, რომ ზევ-ზევით ავდივარ, თითქო ფრთა გამომესხა!.. ჰე, შორს მოსჩანს წმინდა, ბრწყინვალე, მოკაშკაშე ვარსკვლავი... ვუახლოვდებით... რაღაც შორიდან მოისმის მეტად ტკბილი, მეტად ნაზი ხმა, ღაღადისი... სადღაც ჰგალობენ!... ეს რა ბრწყინვალებაა, ეს რა ნათელი შემოერტყა?... თვალს ველარ ვმართავ, თვალი მომჭრა!.. მეხუჭება კიდეც... ო, ღმერთო! რა ტკბილად, რა ნეტარად ვგრძნობ თავს!.. აა!—რაღაც კივილი მომესმა—.

...ყოველივე გაქრა! მაგრამ...

არ მომკვდარვარ!

ქუჯი

ნეთი, ან წიგნები ვისს ხელშია; 3 ხოლერობის დროს მოგროვილი ფული) რაში დაიხარჯა და სხ.

ცოტა რამ ხობის წყლის ხიდის შესახებაც. ამ ხიდს ხუთი ათასი მანეთი დასჭირდა შესაკეთებლად ამ ერთის წლის წინად და ეს ფული იმ აზრით გაიმეტეს, რომ ხიდი 3—4 წელიწადს უნდა გამომდგარიყო. მაგრამ ანგარიშში მოვტყუვდით და ხიდი ეხლავე ირყევა, ალაგ ალაგა სრულიად დაოდროხოდროვდა. მართალია, ომნიბუსებში მსხდომ კაცების გაყვანა და მიმოტვირთვა ურმის თუ დროგების გატანა აკრძალულია ადგილობრივის ბოქაულისაგან, მაგრამ ამ აკრძალვას ყურადღებას არავინ აქცევს? პოლიცია ხომ ხიდს გვერდში ვერ ამოუდგება. ურიგო არ იქნება, ვისიც ჯერ არს, ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს დაეცა იშუამდგომლებდეს, რომ ხიდი გვიგეთონ, თორემ ორნაირი უბედურებ მოგველის: ერთი ის, რომ ხიდზე გასვლა საფრთხილოა და მეორეც — უნდა ხელახლად იმ პატიოსან (?) მებორნეებს ჩავუცვივდეთ ხელში, რომლებიც ქვეითა კაცს თითო აბაზს ახდევინებდნენ და ტყავი გააძრეს ხალხს.

სოლომონ იოსავა

## წერილი კახეთიდგან

ეს წელიწადი ბევრად მაზარალებელია წარსულ წლებზედ. 1890 წ. მოკიდებული ღვინისა და ხორბლეულის მოსავალი ხომ ნაკლები იყო, მაგრამ წრევანდელმა წელიწადმა ყველა იმ წარსულ წლებს გადააჭარბა. წინად, ვაზის ავადმყოფობის გარდა, თუ სეტყვა მოვიდოდა, მოვიდოდა ორჯელ-სამჯერ და ამით გათავდებოდა; წელს-კი გაძლიერებულს ვაზის ავადმყოფობას დაემატა ახალი ჭირი ვაზსავე — „ბლეკროტი“ და, ესეც არ გვაკმარა, გაზაფხულიდგან მოკიდებული ორ კვირაში ერთხელ აქა-იქ სეტყვა მოდის, ხან-კი კვირაში ორჯელაც. მრავალი ადგილი დაისეტყვა და ამათში იმისთანა ადგილებიც, რომლების დასეტყვა იშვიათად ახსოვს ვისმე. ალაზნის ველზედ არის იმისთანა ადგილები, სადაც სეტყვა იშვიათად ჰხვდება, ამისთანებში სიღნაღის მაზრაში შესამჩნევი „ქუმბათია“, თელავის მაზრაში „გძელ-მინდორი“ და მისი ჩაყოლება.

17 ივნისს ნაშუადღევის ორს საათზედ ადგა ქარი, სამხრეთ-დასავლეთიდამ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმართული, გადმოიარა კასისხევის ხეობაზედ, გაიტანა თან შალაური, კურდღელაურის აღმოსავლეთის მხრის მინდვრები, კისისხევის ზვრები და მინდვრები, კონდოლის ზღვითი ნახევარი, წინანდალის უმეტესი და უკეთესი ნაწილი, „გძელ-მინდორი“ და ვანთა-ბუშეტი. ქარს, რომელიც ჩამოთვლილ ადგილებში უფრო ძლიერად ჰქროდა, ვიდრე სხვაგან, მოჰყვა სხვილი წვიმა, რომელიც გადიქცა სხვილს და ხშირს სეტყვად. თვით სეტყვაც უცნაური იყო: იგი წააგავდა ყინულის ნამტვრევებს, ზოგს შუბივით მწვეტი ბოლოებიცა ჰქონდა, ზოგს ხერხივით ნაპირები, ზოგს ცულივით, ზოგი ურმის თვალს წააგავდა, სოლებითა და მორგვით გამოწყობილსა, ზოგი ცომისაგან გაკეთებულს ბასილას, ზოგი კუპატსა და სხ. ამ სეტყვამ არამც თუ ვაზს წრევანდელი ყლორტები ნაყოფიანად გაუსხიპა, თვით დედა ვაზიც დააზიანა, ყინული (იგივე სეტყვა) დედა ვაზს შიგ ერჭმებოდა და ჰხეთქავდა. სეტყვისაგან გასხეპილს ვაზს ძლიერი ქარი მიწაზედ ართხობდა და სეტყვა ისე ხშირი იყო, რომ მანამ ვაზი ქარს აუდგებოდა, 10—15 წუთის განმავლობაში სეტყვა თავის ქვეშ ჰმარხავდა ვაზსა. იქამდის ზარდამცემი იყო 15—20 წამის განმავლობაში, რომ გარეული ფრინველები მარნებში შეჯგუფებულს მეზვრეებსა და მუშებს, რომლებიც გოგირდით სწამლობდნენ, არ ერიდებოდნენ და შიგ მარანში საშინელის ჩხავილით შედიოდნენ, ცქვიტი და ფრთხილი კურდღლის ბაჭიებიც-კი აღარ ერიდებოდნენ თავისს დაუძინებელს მტერს ადამიანსა. რქოსანის საქონლის საშინელი, შემზარავი ბღავილი, ცხენების ჭიხვინში არეული, ადამიანს განწირულების გზაზედ აყენებდა. ზვრებში ნიაღვრები გამწვანდა, რადგანაც ვაზის ფოთოლიც და სხვა ძირის მოსავალიც ისე ჩაზეგვა სეტყვამ, როგორც როდინში დაენაყოს ადამიანს. ყანას, ზოგან უკვე შემოსულს და ზოგანაც ახლად ნაწილ-ჩადებულს, მოასწრო და, რა თქმა უნდა, რომ პატრონები ნამჯასაც ვეღარ გამორჩებიან. ზარალი აუარებელია. რამდენიმე ასი მეზვრე, საწყალი რაჭველები, საიდამ-სად წამოსულები სამუშაოდ, და 2,000 მეტი კომლი დარჩა გულ-ხელ დაკრეფილი. სამუშაო სუყველაფრისა გათავებული იყო. ზვრები და ვენახები დამუშავებულები, ორჯელ ნაწამლები, მესამე და უკანასკნელის წამლობაში, ყანა შემოსული, თითქმის სამკელად მომზადებული, სიმინდი დათოხნილი, ძირის მოსავალი უკვე ნაყოფ გამოღებული — ყველა ეს 15 წუთში გაჰქრა, მოისპო. ამ დღეს საუფლისწულო ერთს ზვარში 200 მდე მანდილოსანი ჰმუშაობდა და, სეტყვის შემდეგ დათხოვნილები, შინისაკენ დაბრუნებულები რომ გენახათ, გეგონებოდათ თითოეული მათგანი გულით საყვარელს შვილს სტირისო, ისეთი საზარელი ხმით მოსტიროდნენ.

დასეტყვილ ზვრების მომეტებული ნაწილი სათავად-აზნაურო ბანკში არის დაგირავებული და კარგს იქნებოდა ბანკის გამგეობა თავისის სანდო კაცით გაესინჯა შემაძრწუნებელი შედეგი ამ საზარელის მოვლენისა, რომ თავისს დროზედ დაახლოვებითი წარმოდგენა ჰქონოდა, როცა შეღავათსა და შემწეობაზედ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი. ამ ღვთის რისხვა მოვლენისაგან წარმომდგარი ზარალის შესამსუბუქებლად დღევანდლამდის ერთი საშუალება არის მარტო — დაზღვევა, მაგრამ ესეც ისეთი პირობებით არის გარემოცული, რომ ბეჯითად ვერ ახათრიჯამებს დაზღვეულის პატრონსა: 1) დამზღვეველს საზოგადოებას დამახათრიჯამებული თავნი ნათლად არ უჩანს; 2) დაზღვეული განსაცდელს არ არის აცილებული, რადგანაც ის დრო არის გამოტოვებული საზღვევ დროიდგან, როცა უფრო ხშირად იცის სეტყვა; 3) გამგეობა საზღვევ ფულით ინახება და ისიც 1,000 ვერსზედ კახეთიდგან მოშორებით. უკეთესი იქნება, მემამულეთ საურთიერთო დაზღვევით შეიმსუბუქონ ეს ზარალი. შესდგეს თვით მემამულეთაგან საზოგადოება საურთიერთო სეტყვისაგან დაზღვევისა, ამოირჩიონ თავისსავე შორის გამგებლები და თავისი საქმე თითონვე განაგონ. ეს იქმნება ერთმანეთის დახმარება და მასთან დახმარება უფრო სამართლიანი, რადგანაც ზარალის რაოდენობის აღნუსხვა თვით მემამულეს უფრო ნაკლების შეცდომით შეუძლიან, ვიდრე იმას, ვისაც ჯერ ვაზი არც-კი უნახავს.

ძალიან კარგი იქმნება, ადგილობრივმა გაზეთებმა გამოარკვიონ ეს საკითხი.

ნადიკვრელი

## მცირე შენიშვნა

(ლექსიკონის გამოცემის შესახებ)

მკითხველი უთუოდ ყურადღებას მიაქცევდა ბ-ნ ბარნაბიშვილის წერილს, რომელიც „ივერიის“ 118 №-შია დაბეჭდილი. ბ-ნი ბარნაბიშვილი, სხვათა შორის, სწერს: „მე განვიზრახე დ. ჩუბინაშვილის ჯერ ხანად რუსულ-ქართულ ლექსიკონის საუცხოვო ყდით და ბ-ნ ჩუბინაშვილის სურათით გამოცემა. ლექსიკონში განდევნილ იქმნება ყველა დაძველებული სიტყვები და მათ ადგილას იხმარება სიტყვები ახლად ხმარებულნი.“

ფრიად კეთილი საქმე განიზრახეს ამ ბოლო ხანებში ჩვენმა თანამოძმეებმა, თუმცა ყველა მათგანი ამ ერთსა და იმავე საქმეს სულ სხვადასხვა ნაირს კალაპოტში უპირებს ჩაყენებას. ლექსიკონის მოთხოვნილება — როგორც ქართულ-რუსულის, ისე რუსულ-ქართულისა, რომ დიდია, ეს ყველამ კარგად იცის; იცის აგრეთვე ისიც, რომ ჩუბინაშვილისაგან გამოცემული ლექსიკონი ვერ აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნილებას და ამიტომაც ყველა დიდის სიხარულით მიეგებება ახლად გამოცემულს ლექსიკონს, თუ იგი ლექსიკონი უფრო შევსებულ-გაუმჯობესებული იქმნება. თვით ცხოვრებამ მოითხოვა ახალი სიტყვები, განვითარებული ენა. ყოველი ახალი გამოკვლევა — სულ ერთია, ბუნების მოვლენათა შეეხება იგი, თუ სხვა რასმე, — საჭიროებს ახალს სახელს, ახალს სიტყვას. მაგრამ ამავ დროს სამარისაკენ როდი ისტუმრებენ ძველს სიტყვებს, თუნდაც ახლად გამოგონილი „ტერმინი“ უფრო საგნის შესაფერად იყოს მონათლულ-სახელწოდებული. ძველი სიტყვები საჭიროა არა მარტო როგორც სიტყვა, არამედ მას სხვა მნიშვნელობაცა აქვს. ლექსიკონი — რა ენაზედაც უნდა იყოს იგი დაწერილი, საყურადღებოა, სხვათა შორის, ეთნოგრაფიულის მხრითაც და ისტორიასთანაც დიდი კავშირი აქვს სიტყვათა მომდინარეობას. იმისის შემწეობით შეიძლება აიხსნას რა გავლენა ჰქონდა ჩვენს ქვეყანაზედ ამა თუ იმ ხალხს. ავიღოთ, მაგალითად, ქართულ-რუსული ლექსიკონი: იქიდგან მიხვდებით, რომ ყველაზედ დიდი გავლენა საქართველოზედ სპარსეთს ჰქონია. მაგრამ ჩავუკვირდეთ იმასაც, თუ საქართველოს რომელს კუთხეზედ ჰქონია სპარსეთს გავლენა? ეჭვს გარეშეა — აღმოსავლეთ საქართველოზედ, რომელიც არა ერთხელ და ორჯერ დაურბევ-დაუწიოკებია და სადაც არა ერთისა და ორის წლობით უბატონებიათ სპარსთა ხანებს. დასავლეთ საქართველო-კი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ასცდა სპარსეთის ზედ-გავლენას; ქართული ენა ამ მხრივ შეურყეველ შეუმწიკვლელი დარჩა, სხვათა ენის სიტყვები იმდენად ძირიან-ფესვიანად არ შეუთვისებიათ იმერთ, რამდენადაც ამერთ შეითვისეს. დასავლეთმა საქართველომ იქნება დაამახინჯა ქართული ენა, მაგრამ ძირი, საძირკველი ამ დამახინჯებულის ქართულისა ისევ ქართულია. აღმოსავლეთ საქართველომ-კი ბევრი სხვა სიტყვები შეისისხლ-ხორცა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ასევე ხდება არა მარტო საქართველოში, არამედ იქაც-კი, საცა უფრო ძველი ენა და უფრო განვითარებული კულტურაა.

ახლა ჩავუკვირდეთ ბ-ნ ბარნაბიშვილის წერილს, რომლითაც იგი გვაუწყებს: „ძველი სიტყვები განდევნილ იქმნება ლექსიკონში“-ო. რომელ ენის შესახებ ამბობს ამას წერილის ავტორი, ეს ჩვენ არ ვიცით. მაგრამ თუ ძველი ქართულის სიტყვების განდევნა აქვს განზრახული, ჩვენ გვგონია, ეს განზრახვა განზრახვადვე დაურჩება და არასოდეს ქართველთა შეგნებული საზოგადოება ნებას არავის მისცემს, რომ ახალის სიტყვების გამო ძველი სიტყვები განდევნილ იქმნას ლექსიკონიდგან. (ნუ გვგვიწყრება ბ-ნი ბარნაბიშვილი და უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვები განიდევნებიან ლექსიკონიდგან და არა ლექსიკონში, როგორც იგი სწერს.) თუ ძველი სიტყვები, რაც უიმისოდაც მცირეა, ქართულის ლექსიკონიდგან განდევნა ვინმემ, ამით დიდად შეცოდე იქმნება არა მარტო თანამედროვეთა წინაშე, არამედ მომავალ თაობის წინაშეც. ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი, როცა მომავალი თაობა ხელში აიღებს რომელსამე ძველს ქართულს წიგნს და შინაარს-კი ნახევრადაც ვერ გაიგებს. ჯერ ჩვენ, რომელნიც ასე არ დავშორებივართ ძველს, ვერ ვიგებთ ძველის მწერლების ნაწერებს და რა უნდა ჰქმნას შემდეგმა?! ისე გამოდის, თითქოს ბ-ნ ბარნაბიშვილს ის უნდა, რომ საქართველოს საუკეთესო შვილთა ლიტერატურული ნაწარმოებნი, რომლითაც ჩვენ ასე თავი მოგვწონს, — დამწვარ და გაუქმებულ იქმნასო... სხვაფრივ როგორ უნდა აიხსნას ლექსიკონიდგან ძველის სიტყვების განდევნა! ჩვენ ამ ხანად იმის განხილვა არა გვსურს, თუ რამდენად საფუძვლიანის ქართულით არის დაწერილი ჩვენი ძველი მწერლობა. შეიძლება ენის მხრივ ბევრი შეცდომებიც მოიპოვებოდეს, მაგრამ ასეთი შეცდომები ვერ დასჩრდილავს იმისს მრავალს ღირსებას.

როგორც უნდა იყოს, ჩვენ ნება არა გვაქვს, რომ მამა-პაპათაგან გადმონაცემ საუნჯის კარის გასაღები მომავალ თაობას არ გადავსცეთ. ეგკი არა-და, თუ ჩვენის თავის სიკეთე გვინდა, პირიქით, საჭიროა რაც შეიძლება მეტი ძველი სიტყვები იყოს ლექსიკონში შეტანილი და ამასთანავე ახალსაც შესაფერი ადგილი მიეცეს. ერთი მეორეს არას დაუშლის და დიდად საჭიროც არის...

ახლა ვიკითხოთ: ერთს, კერძო კაცს შეუძლიან, რომ ეს საქმე იკისროს და პირნათლად შეასრულოს? ჩემის აზრით, არ შეუძლიან და ამას, მგონი, დიდი ლარი და ხაზი არ უნდა დასამტკიცებელ დასასაბუთებლად.

დიდად სასურველია, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებამ იკისროს ეს საქმე და, როგორც გაზეთ „ივერია“-მაც აღნიშნა, შესდგეს ენის მცოდნეთა კომისია, რომელმაც საჭიროებისა და გვარად შეასწორ-გაალამაზოს სიტყვები და ისე დაიბეჭდოს ლექსიკონი. ეს გამოცემა დიდად სასარგებლო ნაყოფს მხოლოდ მაშინ მოიტანს.

განდეგილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ დღეებში ადგილობრივს გაზეთებში კვლავ რამდენიმე წერილი დაიბეჭდა იმის შესახებ, თუ დუშეთის ბოდავის წმ. გიორგის ნიში ვის ეკუთვნის. ეჭვი არ არის, მოდავენი აგრე ადვილად არ დასცხრებიან და ერთხელ ატეხილი სალაპარაკო საგანი ჯერ კიდევ ბევრს დროსა და თავის ტეხას მოითხოვს, მაგრამ საქმე ხომ უსაფუძვლო კამათში არ არის. აქ საბუთებსა და მხოლოდ უტყუარს ცნობებს უნდა მიექცეს ყურადღება, თუ სიმართლის აღდგენა ვისმეს ჰსურს, და მხოლოდ მაშინ თუ გამოირკვევა ჭეშმარიტება. განგებ თვალების დახუჭვითა და უაზროდ გაცვეთილ ფრაზების ხმარებით-კი არა გაკეთდება-რა. ამითი მოპირდაპირენი მხოლოდ წერის ნიჭს ან უნიჭობას გამოიჩენენ, სხვას არაფერს. ეს-კი, ეჭვი არ არის, საქმეს არაფერს შესძენს, უფრო დასჩრდილავს, რაიცა შეიძლება ზოგიერთთათვის კარგიც იყოს, მაგრამ როდემდის?..

ასეთ საბუთად მიგვაჩნია, სხვათა შორის, გაზ. „ცნობის ფურცლის“ მე 250 №-ში დაბეჭდილი წერილი მღ. ზაქარია კარიაულისა, რომელსაც, როგორც სამღვდელოს, უფრო მეტი დაეჯერება, ვიდრე სხვა რომელსამე მოდავე ერის-კაცს. აი, რასა სწერს იგი:

ბ-ნო რედაქტორო! როგორც გავიგე, „ნოვოე ობოზრენიეში“, სხვათა შორის, უთქვამს ნათქვამი — ვითომ დუშეთის არც ერთს ორმოცდა-ათ წლოვანს ადამიანს არ ახსოვდეს, რომ იმ ალაგას, სადაც ეხლა სომხების „სურფ-გეურქის“ ნიშია, ოდესმე ბოდავის წმინდა გიორგის ნიში ყოფილიყოს, და, გარდა სომხების სამღვდელოებისა, მართლ-მადიდებელს სამღვდელოებას არასოდეს ღვთის მსახურება არა ჰქონოდეს და არ აესრულებინოს. რადგანაც ეს შენიშვნა სრულიად ტყუილია, ჩემ მოვალეობად მიმაჩნია სიმართლის აღსადგენად შემდეგი გამოვაცხადო: მე თითონ გახლავართ ერთი იმ მართლ-მადიდებელ მღვდელთაგანი, რომელსაც აწ მონათლულ „სურფ გეურქად“ ბოდავის წმინდა გიორგის ნიშში ღვთის მსახურება გამიწევია, ქართველთა მლოცველთათვის საღმრთო საკლავი მიკურთხებია და საეკკლესიო წეს-რიგი გარდამიხდია. ესეც მართალია, რომ ამნაირი ჩემი სამართლიანი მოვალეობა სომხების ტერტერებს არ ეჭაშნიკებოდა, რის გამოც უსიამოვნებაც მომსვლია: თურმე ნუ იტყვით, როგორც ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდა, დაჩემება სდომებიათ.

აქვე სხვა-და-სხვა დროს უსრულებიათ ღვთის მსახურება აგრეთვე სხვა მღვდლებსაც — მოლოდინოვს, ივანე სავანელსა და სხვებს.

და ამასთანავე პატივცემული ღრმად-მოხუცებული მამა კარიაული სთხოვს გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“ ეს მისი წერილი გადაჰბეჭდოს, რომ ამით მკითხველთა შორის ეჭვი განიბნას და სიმართლე აღდგენილ იქმნას.

მართლაც-და განაღა შეიძლება ამაზედ უკეთესის საბუთის გამოძებნა? რომ ბოდავის წმ. გიორგის ნიში იმ თავამდე სომხებისა ყოფილიყოს, ნუ-თუ საფიქრებელია, რომ სომხები იქ ქართველს მღვდელს მღვდელ-მსახურებისათვის მიუშვებდნენ, ან კანონს მაინც არ მიჰმართავდნენ და მთავრობის წინაშე არ ამხელდნენ, აი, ამა და ამ მღვდელმა უკანონობა ჩაიდინა და სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიაში მართლ-მადიდებლობის წესი შეასრულაო?! საოცარია!.. მაგრამ ამას პირუთვნელი გამოძიება დაამტკიცებს.

***

მეორე წერილი ამავე საგნის შესახებ „ნოვოე ობოზრენიე“-ს გუშინდელს №-ში დაიბეჭდა. იგი პასუხია ბ-ნ ალავერდოვის წერილისა, რომლითაც იგი ბ-ნ ყარანგოზიშვ უკიჟინებდა, თქვენი წერილი სიმართლეს მოკლებულიაო. აი რასა სწერს ამის საპასუხოდ ბ-ნი გრ. ყარანგოზიშვილი:

„.. ამ საგნის შესახებ ბ-ნს ალავერდოვს აღარას გუპასუხებ, რადგანაც, როგორც ვსწერი, უკვე გამოძიება დაწყებულია. ვიტყვი მხოლოდ აი რას: ჩემი მშობლები ჯერ ისევ ცოცხლები არიან (მამა ქართველი—80 წლისა, ხოლო დედა მანდენოვის ასული—სომეხია, 76 წლისა), ცოცხალივეა ოჭანეზ მანდენოვის შვილის შვილი და—ჩემის დედის ძმა სტეფანე დავითის ძე მანდენოვი, რომელთაგანაც შევიტყე ყოველივე ჩემ-მიერ დაბეჭდილი ამბავი ბოდავის წმ. გიორგის ნიშის შესახებ. მე მხოლოდ სიმართლის აღსადგენად ამოვიღე ხმა და არა იმისათვის, რომ პოლემიკა დამეწყო და დუშეთის მცხოვრებთა შორის დრტვინვა გამომეწვია...

ეს მეორე საბუთიც ნაკლებად საყურადღებო არ არის; მით უფრო, რომ ყარანგოზიშვილი, თავისის მშობლების გარდა, ასახელებს თითონ სომხებსვე, რომელთაც, ვგონებთ, სხვა სომხებზედ ნაკლები სიყვარული და პატივისცემა არ უნდა ჰქონდეთ თავისის ეკკლესიისა და ერისა *).

# უცხოეთი

—

**ინგლისი.** ეს უკანასკნელი ორი-სამი კვირა ინგლისის გაზეთები, როგორც თვით ინგლისელები, გატაცებულნი იყვნენ დედოფალ ვიქტორიას სამოცის წლის იუბილეით. ამ იუბილეის გარდა გაზეთებში თითქმის არაფერს სწერდნენ და ყველა ერთხმად ქება-დიდებით იხსენებდა როგორც დედოფალს, აგრეთვე მთელ ინგლისის ერს. გაზეთების სიტყვით, ინგლისს, იუბილეის შემწეობით, უნდოდა დაენახვებინა ევროპისათვის, თუ რამდენად ძლიერი სახელმწიფოა იგი და რამდენად გაუჭირდება სხვას იმასთან ომი. კიდეც მიაღწია ინგლისმა თავისს აზრსაო. დღესასწაულების დასასრულს ფლოტის გასინჯვამ აშკარა ჰყო სხვა სახელმწიფოთათვის ინგლისის ძალაო. იმ 171 სხვა-და-სხვა გემის და საუკეთესოდ გაწყობილმა გემმა, რომელნიც აღლუმს დაესწრნენ, დაარწმუნა ყველანი, რომ ინგლისი, პირველი სახელმწიფოა ქვეყანაზედ და ზღვაზედ იმის დამარცხება ყოვლად შეუძლებელიაო. ასეთის მამულის სიყვარულით არიან გატაცებულნი ინგლისელნი და ირლანდია-კი ამავე დროს სულ სხვას გაიძახის. დუბლინში, მისს მოდ გონმა სიტყვა წარმოსთქვა და აუწყა ყველას, რომ დედოფალ ვიქტორიას მეფობის დროს ირლანდიაში მილიონ ნახევარი ხალხი შიმშილისაგამ ამოსწყდა, სამი მილიონი საკუთარის სახლ-კარიდგან იქმნა განდევნილი და ოთხი მილიონი იძულებული შეიქმნა სხვა ქვეყნებში გადასახლებულიყო. აი, ინგლისის სიძლიერემ და წარმატებამ ეს შეგვმატაო, დასძინა ბოლოს მისს მოდ გონნი.

—

**კრიტი** გაზ. „Post“-ს დეპეშით ატყობინებენ კრიტიდგან, რომ იქაური მაჰმადიანები მეტად აღელვებულნი და უკმაყოფილონი არიანო. ხმა გავრცელდა, ვითომც ოსმალეთის ჯარი უნდა გაიწვიონ კრიტიდგან და მაჰმადიან მკვიდრთ აღარ იციან რა ჰქმნანო. დარწმუნებულნი არიან, რომ მეამბოხენი მოსვენებას აღარ მისცემენ და იმათ სარჩო-საბადებელს სულ გაიტაცებენ. ევროპიელებისაგან კი მაჰმადიანები არაფერ შემწეობას არ მოელიან. გაზეთის სიტყვით, ბევრმა წინადვე დაჰკარგა სახლ-კარი და მამულები და ბევრნი მათგანი ეხლა მოწადინებულნი არიან თესალიაში გადასახლდნენო, რადგან ჰგონიათ, თესალია ოსმალეთს დარჩებაო.

—

**ოსმალეთი.** კონსტანტინეპოლიდგან სწერენ გაზეთებს, რომ სულთანი და იმის მახლობელნი ძალიან მოწადინებულნი არიან ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ზავი მალე იქმნას შეკრული. რადგანცა დიდი ვეზირი წინააღმდეგის აზრისაა და თესალიის ხელიდგან გაშვება არას გზით არ უნდა, სულთანის მახლობელნი სცდილობენ გადააყენონ იგი და იმის მაგიერ სხვა დანიშნონ დიდ ვეზირადაო.

# ნაკვესი

—

ერთს ბატონს ოქროს საათი დაეკარგა. ურჩიეს, გაზეთებში დაჰბეჭდე წერილი და მპოვნელს საჩუქარს შეჰპირდი, იქნება დაგიბრუნონო. იგიც სწორედ ასე მოიქცა, მხოლოდ გაზეთში გამოაცხადა, რომ საათი ვერცხლისა იყოო. როცა ჰკითხეს, რატომ მართალი არ დაჰბეჭდეო, უპასუხა:

— რომ გამომეცხადებინა, საათი ოქროსიაო, მპოვნელი წაიკითხავს და იქნება ამ მიზეზით აღარ დააბრუნოსო.

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ინგლისის გაზეთებში შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი:

ინგლისის დედოფლის მეფობის დროს გარდაცვლილა ერთი მეფე, ერთი იმპერატორი და საფრანგეთის რესპუბლიკის ექვსი პრეზიდენტი. რუსეთში, დედოფალ ვიქტორიას ტახტზედ უნახავს ოთხი იმპერატორი. გერმანიაში—სამი; კონსტანტინეპოლში გამოცვლილა ხუთი სულთანი, ვენაში ორი იმპერატორი და ამერიკის შეერთებულ შტატებში—თვრამეტი პრეზიდენტი.

დედოფალ ვიქტორიის დროს გარდაცვლილან ყველა წევრნი საზოგადოებათა პალატისა, ვინც-კი 1837 წელს იყო, გარდა გლადსტონისა და ჩარლზ ვალტერისა.

დედოფალის მეფობის დროს გამოცვლილა 11 ლორდ-კანცლერი, ათი პირველი მინისტრი, ექვსი სპიკერი, ექვსი მთავარ-ეპისკოპოსი კენტერბერიისა, შვიდი მთავარ-ეპისკოპოსი იორკისა და ხუთი მთავარ-სარდალი ინგლისის ჯარისა.

***

უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ მეცნიერებმა ისეთი მანქანები გამოიგონეს, რომლის შემწეობით შესაძლებელია დეპეშების გადაცემა უმავთულოდ. ეხლა გაზეთები ამბობენ, რომ ინგლისის ფოსტის მმართველობა უკვე ჰმართავს ასეთს უმავთულო ტელეგრაფს სერკის კუნძულსა და ჰერნერის შორის.

***

ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრთა წინაშე წაიკითხა თვისი მოხსენება მეცნიერმა სეტონ-კარრმა და წარუდგინა მათ სხვა-და-სხვა გვარი ქვის იარაღი, რომელიც უპოვნია მას ეგვიპტესა და აფრიკის აღმოსავლეთ მხარეს სომალების ქვეყანაში. ლონდონის გაზეთები ამბობენ, ამ მეცნიერის მიერ ნაპოვნ ქვის იარაღის ნიმუშებითა მტკიცდება, რომ პირველ ადამიანს აფრიკაში უცხოვრია. ზემოხსენებული პროფესორი ამტკიცებს, ჩემ მიერ ნაპოვნი ნივთები სამას ათასის წლის წინად არის გაკეთებულიო.

***

პარიზში გაუმართავთ ,,რომანების ქარხანა‘‘. აქ ისე კეთდება რომანები, როგორც ტანთსაცმელი ან ფეხსაცმელი. ერთს დიდს დარბაზში სხედან მწერლები და ,,მოთხრობებს‘‘ აკეთებენ. ვსთქვათ, ასეთს მწერალს მისცეს მოთხრობა, რომელიც 20,000 სტრიქონს არ აღემატება და უთხრეს, ეს მოთხრობა ისე გაადიდე, რომ 50,000 სტრიქონი გამოვიდესო. მწერალიც მოთხრობას ადიდებს ამ გვარად: ვსთქვათ, მოთხრობაში სწერია: გრაფი ავიდა პირველ სართულში და ზარი დარეკა. მწერალი ამ სიტყვების მაგიერად სწერს: გრაფი ავიდა პირველ სართულის მშვენიერ მარმარილოს კიბეზედ, რომელიც სულ ერთიანად დაფარული იყო ძვირფასის ხალებით, მოჰკიდა ხელი ზარის „სონეტკას“ და გაბედვით დასწია.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 ივნისი.

**პეტერბურგი.** 21 ივნისს, საღამოს, სიამის მეფე პრინცებითურთ სვასტითა და შირათი ახალს პეტერგოფს მიბრძანდა. რკინის სადგური ბაირაღებით იყო შემკული. მეფის მისაგებებლად უმაღლესნი სამხედრო წარჩინებულნი, ხელმწიფის ამალა და დიდნი მთავარნი შეიკრიბნენ. სადგურზედ მობრძანდა აგრეთვე ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე. სამეფო მატარებელი რომ სადგურს დაუახლოვდა, მუსიკამ სიამის საერო საგალობელი დაუკრა. გულითადის მიგებების შემდეგ სიამის მეფემ და ხელმწიფე იმპერატორმა საპატიო დარაჯს ჩაუარეს გვერდით. შემდეგ მეფე და ხელმწიფე იმპერატორი, პრინცი სვასტი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე და პრინცი შირა და დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე თავ-ღია ეტლებით, რომელთაც უკან მისის უდიდებულესობის საკუთარი ცხენოსანი რაზმი მისდევდა, სასახლეში წავიდნენ. სადგურიდნან სასახლემდე მთელი გზა საუცხოვოდ იყო შემკული. გზის ორივ მხარეს მისის უდიდებულესობის საკუთარის რაზმის ჯარის-კაცნი იდგნენ.

**პეტერბურგი.** ბირჟაზედ დისკონტმა 5 $-7\%$-დგან $4\frac{3}{4}$—$6\frac{1}{2}\%$ ძირს დაიწია.

**პეკინი.** რუსეთის საგანგებო საელჩო, რომელიც თავადის უხტომსკის მეთაურობით ჩინეთს იყო გაგზავნილი, უკვე უკან დაბრუნდა. თავადს უხტომსკის თან ჩინეთის იმპერატორისაგან საჩუქრები მოაქვს ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრე თეოდორეს ასულისა და მარიამ თეოდორეს ასულისათვის.

**ბერლინი.** დროზას კრიტოსის გენერალ-გუბერნატორობის კანდიდატობაზედ გერმანია წინააღმდეგია. ოსმალოთა ესოდენ მტერთ რომ გენერალ-გუბერნატორად ვურჩიოთ, ეს იმას უდრის, რომ პორტა კვლავ საომრად გამოვიწვიოთო.

**კონსტანტინეპოლი.** 21 ივნისს ელჩებს კრება ჰქონდათ. მშვიდობიანად მორიგების შესახებ მეათე სხდომა ღამით ჰქონდათ.

**პარიზი.** კონსტანტინეპოლიდამ იუწყებიან; სულთანმა ბერძნების პატრიარქს ბრძანება გაუგზავნა, რომ ლარისაში ბერძნების მიტროპოლიტი იქმნას დანიშნულიო. როგორც ჰფიქრობენ, ოსმალონი მხოლოდ მაშინ გავლენ თესალიიდგან, როდესაც ბერძნები სამხედრო საზღაურს გადაიხდიან. მინისტრთა საბჭო ამ აზრისააო და იმასა სცდილობს, რომ სახელმწიფოებმა პენეის დაპყრობის ნება დაჰრთონო.

**ათინა.** ,,ასტა‘‘-ს მიერ მიღებულ ცნობებით, საფრანგეთსა და იტალიას დროზას კანდიდატობაზედ თანხმობა განუცხადებიათ. დროზა ვრცელს თვით-მმართველობას თურმე თხოულობს და ჰსურს, რომ კანეაში იგი სრულიად დამოუკიდებელი იყოს სახელმწიფოთა კონსულებისაგან.

**კალკუტტა.** არეულობა და უწესოება შეწყვეტილ იქმნა. წესის დამრღვევლებთან თანხმობის პირობა იქმნა შეკრული.

23 ივნისი.

**პეტერბურგი.** 22 ივნისს სიამის მეფე წარსდგა ხელმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის წინაშე: იქვე ბრძანდებოდა ხელმწიფე იმპერატორი. შემდეგ სიამის მეფე სადარბაზოდ ეწვია ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულს. სიამის მეფე დედოფალმა ინაახულა ალექსანდრიაში, ფერმერის სასახლეში, დიდის სასახლის დარბაზში საღამოს 7 საათზედ სადილი იყო სიამის მეფის პატივ-საცემლად. ხელმწიფე იმპერატორმა წარმოსთქვა სიამის მეფის სადღეგრძელო, ხოლო სიამის მეფემ—სადღეგრძელო დედოფლისა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა: აკრძალულ იქმნა ქ. რიგაში ლატიშურ ენაზედ გაზეთის «Deenas Lapa“-ს ბეჭდვა რვა თვის ვადით.

**სიმფეროპოლი.** ბერდიანსკის მაზრაში მოიწამლა თევზით მთელი ოჯახი, რომელიც ექვსის სულისაგან შედგებოდა. თუმცა ექიმები მები დროზე მიეშველნენ, მაგრამ ვერა უშველეს რა და ყველანი გარდაიცვალნენ.

**ბერნი,** შვეიცარიის სატელეგრაფო სააგენტო იუწყება, რომ ნუმადრაზს უარი არ უთქვამს კრიტის გენერალ-გუბერნატორის ადგილზედ, მაგრამ ამ საქმის გარდაწყვეტა იმ დრომდე გადასდო, ვიდრე დიდნი სახელმწიფონი გამოარკვევდნენ ყველაფერს. მოლაპარაკება ჯერ არ გათავებულა და ნუმა დროზს ჰგონია, ჯერ მალე არ გათავდებაო.

**კონსტანტინეპოლი.** ჯედში შავმა ჭირმა იკლო, მაგრამ სალოცავად წასულ იმ მგზავრთა შორის, ვინც მეწამურ ზღვის კუნძულზედ გაჰგზავნეს, რამდენიმე კაცი გახდა ავად შავი ჭირით.

**ბელგრადი.** არჩევანების საქმე ყველგან წყნარად და მშვიდობიანად მიდის. შეიძლება ითქვას, რომ ბელგრადში რადიკალების არჩევა გარდაწყვეტილი საქმეა.

**კონსტანტინეპოლი.** 21 ივნისს. ელჩებმა გადაჭრით მოითხოვეს, გათავებულ იქმნას ყოველგვარი მოლაპარაკება შესახებ საზღვრისა. ამასთანავე ელჩებმა უთხრეს ოსმალეთის მთავრობას, მოლაპარაკება ძლიერ გვიანდებაო. დღეს ამ საქმის გამო მინისტრთა ბჭობა მოხდება. შემდეგი კრება ზავის შესახებ ან ორშაბათს უნდა იყოს და ან სამშაბათს.


# განცხადებანი

ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и Ко.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ГЛИЦЕРИНОВОЙ
ПУДРЫ.
СРЕДСТВО
ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.

Коробка съ пуховк. 80 к.




Коробка безъ пуховки 50 к.

(11—მ—1)


---

*) ამა საგნის შესახებ რედაქცია ამ დღეებში ვრცელს წერილს დაჰბეჭდავს.

Дозволено цензурою, Тифлисъ 23 г. Юнія 1897 г.

სტამბა ა. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.